

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი

ბ ი ო ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა შ ი ა

შეაღბინა, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის
მოკლე მიმოხილვა დაურთოთ ს ი უ რ ი ბ ე რ ი კ ე მ

თბილისი
„მეცნიერება“
2002

УДК 012+016[37+78](479. 22)

3652

УДК 012+016[37+78](479. 22)

B573

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის წინამდებარე ბიობიბლიოგრაფია, რომელიც ოცი წლის მანძილზე გამოცემულ ლიტერატურას მოიცავს (1883-1904), შედგენილია საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის (სცსსა) წყაროებზე დაყრდნობით, გ. ლენინის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული სამეცნიერო და დოკუმენტური მასალის საფუძველზე. პირველად გაკეთდა ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის მიერ და მასზე გამოცემული წიგნების, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და კრებულებში გამოქვეყნებული მასალების სრული ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ჩატარდა ეთნოგრაფიული ექსპედიცია ყვარლის რაიონის სოფელ შილდამი ეკლევითი მიზნით, რომლის შედეგადაც მოვიპოვეთ საინტერესო ფოტო მასალა, შევისწავლეთ აღნიაშვილების გვარის გენეალოგია.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით და შედგება 6 თავისა და 8 დანართისაგან.

პირველი თავი წარმოადგენს ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვას. მეორე თავში მოცემულია ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი თარიღები. მესამე თავი ეძღვნება აღნიაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას (სახელმძღვანელოები, სასწავლო-აღმზრდელობითი და შემეცნებითი ზასიათის ლიტერატურა მოზარდი თაობისათვის). შემდეგი მეოთხე თავი მოიცავს აღნიაშვილის შრომების სიას. მეხუთე თავში ჩამოთვლილია ის წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ნათელს ჰქვნიან აღნიაშვილის ბიოგრაფიის ცალკეულ მხარეებს. მეექვსე თავში მოცემულია რეცენზიები და გამოხმაურებები ლადო აღნიაშვილის პედაგოგიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე (XIX საუკუნე). დამეხებულია ზოგან დემიფრაცია, ზოგან კი-ციტირება (ნაწილობრივ და სრულად).

დანართში წარმოდგენილია ის ფაქტობრივი მასალა, რომელიც ადასტურებს ამ გამოჩენილი ერისკაცის დაბადებიდან 140 წლისთავისამდე მიძღვნილ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც მისი ღვაწლის დაფასების მიზნით ჩატარდა ამ ნაშრომის ავტორის ინიციატივით.

Представленная ниже “Биобиблиография Владимира (Лад) Агнишвили”, которая включает изданную за 20 лет литературу (1883-1904), составлена на основе научного и документального материала в результате работы над источниками в Национальной парламентской библиотеке имени Илии Чавчавадзе, в ЦГИА Грузии, в отделе рукописей Государственного музея грузинской литературы имени Г. Леонидзе. Впервые сделана аналитическая библиография изданных Владимиром (Лад) Агнишвили книг, статей и публикаций о нем в грузинских журналах, газетах и сборниках, осуществлена этнографическая экспедиция в село Шильда Кварельского района с научной целью, в результате чего добыты интересные фотоматериалы и изучена семейная генеалогия Агнишвили.

Материал „Биобиблиографии“ подан в хронологическом-алфавитном

порядке и состоит из шести глав и восьми приложений.

В первой главе дан краткий обзор жизни и деятельности Владимира (Ладо) Агнишвили. Во второй главе - основные даты жизни и творчества Владимира (Ладо) Агнишвили. В третьей главе раскрывается педагогическое наследие Владимира (Ладо) Агнишвили (учебники, литература учебно - воспитательного и познавательного характера для подрастающего поколения). Следующая, четвёртая глава содержит список трудов Владимира (Ладо) Агнишвили. В пятой главе дан перечень книг, журналов и газет, которые освещают отдельные стороны биографии Агнишвили. В шестой главе представлены рецензии и отклики на его педагогическую и общественную деятельность (XIX в.). Используется как дешифрация, так и шифрование (частичное и полное).

В приложении дан тот фактический материал, который подтверждает проведение практических мероприятий, организованных по инициативе автора данного труда и посвящённых 140 - летию со дня рождения этого выдающегося сына Грузии - Владимира (Ладо) Агнишвили, как дань уважения к его заслугам.

რედაქტორი ც . ხ ე თ ე რ ე ლ ი

რეცენზენტები ბ . ნ ე მ ს ა ძ ე , ლ . ფ რ უ ი ძ ე

გ 4406000000
M 607(06) 02

ISBN 99928-0-348-7

© ც. ბერიძე, 2002

© „მეცნიერება“ 2002

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი

1. ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა

2000 წ. ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილს შეუსრულდა 140 წელი დაბადებიდან. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა ამ თარიღის აღნიშვნა მის მშობლიურ სოფ. შილდაში (ყვარლის რაიონი).

20 წელი ემსახურა უანგაროდ, თავდადებით თავის ერს, ხალხს ეს დიდი ერისკაცი და თაობებს დაუტოვა მდიდარი მემკვიდრეობა, რომელსაც ჭერჭერობით არ იცნობს ფართო საზოგადოება. ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოღვაწეობდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა გვერდით, რომლებიც პირადი მაგალითით, მაღალი ზნეობრივი იდეალებით შთააგონებდნენ მას ხალხის, სამშობლოს საკეთილდღეოდ ბრძოლას.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, საზოგადოებრივი საქმიანობა, ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი ლადო აღნიაშვილმა მოახმარა სახალხო განათლების, ქართული კულტურის განვითარების უკეთილშობილეს საქმეს და ერის თვითმყოფადობის დაცვას.

დაბადების მოწმობა

„ვლადიმერ დიმიტრის ძე აღნიაშვილი დაიბადა 1860 წ. 23 იანვარს. მონათლულია 29 იანვარს. ნათლობა შეასრულა სოფ. შილდის წმ. ნინოს, ამავე სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელმა ვართლომე იორდანოვმან, ამავე სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის პირიქტნიკების (დიაკვნების) იოსებ და ალექსი აღნიევებისათა.

მშობლები- სოფ. შილდის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი და ბლალაოჩინი დიმიტრი იოკის ძე აღნიევი და სჭულიერი ცოლი მისი ეკატერინე ზაქარიას ასული, ორნივე მართლმადიდებლობითის სარწმუნეობისანი.

ნათლია (მომრქმელი) - საქართველოს ქვეითი პოლკის III როტნის აფიცერი თავადი ლევან ესტატეს ძე ჭორჭაძე.“ (სტილი და ცულია). - სცსსა, ფონდი 489, აღწერის № 6, საქმე 1405.

როგორც დაბადების მოწმობიდან ჩანს, ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი დაიბადა დიმიტრი მღვდლის ოჯახში, რომელიც დიდად დაფასებული იყო თელავის მაზრაში. საარქივო მასალებში მოიპოვება დიმიტრი მღვდლის, ბლალაოჩინის მოხსენება თელავის მაზრის საბლალაოჩინოს მღვდმარეობის

შესახებ და მღვდელ დიმიტრი აღნიაშვილის საქმიანობის დადებითი დახასიათება. (სცსსა, საეკლესიო მეტრიკული წიგნების აღწერილობა, სცსსა ფ.488, საქმე 26440, ფურც. 9-9).

აღნიაშვილების გვარში ბევრი იყო სასულიერო პირი. მათ შორის სიმონ აღნიაშვილი, რომელმაც 1825 წ. 11 მაისს მიმართა საქართველოს ეგზარხოსს იოანეს მოხსენებით: „Об учреждении при Елисоветопольской церкви порядка, существующего в грузинских церквях“. (სცსსა ფ. 488, ფურც. 1-6)

ღუშეთის მაზრის სოფ. ბოკაწინში 1825 წ. 3 დეკემბერს მღვდლად დაინიშნა გიორგი აღნიაშვილი, რომელიც მანამდე თბილისში მსახურობდა. (სცსსა 488, საქმე 1221, ფურც. 1-16)

აღნიაშვილების გვარს შეუძლია იამაყოს თავისი სახელოვანი წინაპრებით, რომლებიც ერთგულად ეწეოდნენ ღვთისმსახურებას. ვინ არ იცის დღეს თბილისში სამების ეკლესია, რომელიც საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის უკან მდებარეობს?! „ქართული ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი პირველად 1790 წ. აგებულ იქნა სამლოცველოს სახით თბილისში მცხოვრების პეტრე აღნიაშვილის (პეტრე ყარაულის) მიერ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მისმა შვილმა, შიო აღნიაშვილმა, სამლოცველოს მიამენა სვეტებიანი კარიბჭე და სამრეკლო. XIX საუკუნის 60-იან წლებში დეკანოზ არღაზიანის თაოსნობით აგებულ იქნა გუმბათიანი ეკლესია, რომლის კურთხევა მოხდა 1868 წ. დეკემბერში. ეკლესია დაცულია სახელმწიფოს მიერ“. (წარწერა ეკლესიის მემორიალურ დაფაზე).

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის მამა-დიმიტრი მღვდელი ამზადებდა შვილს ღვთისმსახურებისათვის, რათა გაგრძელებულიყო საოჯახო ტრადიცია.

დიმიტრი მღვდლის ინიციატივით 1868 წ. თელავის მაზრის სოფ. შილდაში გაიხსნა პირველი სკოლა (სასოფლო სასწავლებელი), რომლის ერთერთი პირველი მოსწავლე იყო მისი შვილი - ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი.

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ (1872 წ.) ლადო აღნიაშვილმა სწავლა განაგრძო თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრებისას შევიდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც დამთავრა წარჩინებით 1881 წლის 14 ივნისს, რაზეც მეტყველებს მისი ატესტატი. (დაცულია გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელწიფო ბუხერში).

თავის მოწოდებას ლადო აღნიაშვილი ხედავდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამიტომ გააკეთა მან ასეთი არჩევანი, არ გახდა

სასულიერო პირი, თუმცა ბუნებით ღვთისსიყვარულიანი პიროვნება იყო. პედაგოგიც ხომ მოძღვარი უნდა იყოს! ლადო აღნიშნული მოწოდებით იყო პედაგოგი.

1881 წელს თბილისში გაიხსნა ქართული სათავადაზნაურო სასწავლებელი, რომლის ინსპექტორად დანიშნული იყო ცნობილი ქართველი მწერალი და პედაგოგი ნიკო ლომოური. მან მიიწვია ვლადიმერ (ლადო) აღნიშნული ქართული და რუსული ენის პირველ მასწავლებლად და შეუქმნა მას, როგორც სხვა მასწავლებლებს, შემოქმედებითი მუშაობის კარგი პირობები. აქ აღნიშნულია ორი წელი იმუშავა.

1883-1893 წლებში ლადო აღნიშნული მუშაობდა ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში. ეს წლები დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა ლადო აღნიშნულის მოღვაწეობაში. იგი თავიდანვე მიისწრაფვოდა საზოგადოებრივი საქმიანობის უფრო ფართო ასპარეზისაკენ. მისთვის ცხადი გახდა, რომ არ კმარა მხოლოდ ერთ სკოლაში მოაგვარო სწავლების საქმე. საჭიროა სწავლა-განათლება ააგო ხალხის ცხოვრებისა და ბუნების თავისებურებებზე, შეაყვარო მოსწავლეებს ერის სულიერი კულტურა, ჩაახედო საქართველოს მდიდარ ფოლკლორულ საგანძურში, გაუფაქიზო გრძნობები და განუმტკიცო საზოგადოებრივი, ჯანსაღი მორალი. ამრიგად, ლადო აღნიშნულის წინაშე წამოიჭრა იგივე საკითხები, რომლებიც ამოქმედებდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულ თავკაცებს. ეს იყო ის დრო, როცა საკეთიბელი ძალიან ბევრი იყო, ხოლო საქმის ენთუზიასტთა რიცხვი კი ძლიერ მცირე.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველსავე წლებში აღნიშნული გამალებით ეძებდა გზას, რომელიც ქართველ მოზარდებს გაუადვილებდა რუსული ენის დაუფლებას. ამის შეგნებამ მიიყვანა იგი რუსული ენის სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობამდე. 23 წლის ახალგაზრდამ შეადგინა და 1883 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი რუსული ენის შესწავლაში დაწყებითი ქართული სკოლებისათვის“, რომელსაც დაერთო წინასიტყვაობა, სადაც განმარტებულია სახელმძღვანელოს სტრუქტურა და მოცემულია მეთოდური მითითებები. ქართული პრესის ფურცლებზე დადებითად შეფასდა ეს სახელმძღვანელო, მაგრამ იგი მეორედ აღარ გამოცემულა, რადგან მან ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება უსახსრობის გამო.

ოთხი წლის შემდეგ კი გამოვიდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „Русское слово“ Т. I. 1887, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო, გახდა საყოველთაოდ ცნობილი და სტაბილური სახელმძღვანელო არა მარტო ქართული დაწყებითი სკოლებისათვის, არამედ მრავალეროვანი რუსეთის ყველა არარუსული სკოლებისათვის. ი. გოგებაშვილი იმ დროს უკვე დიდად

სახელმწიფო პედაგოგი და მწერალი იყო და, რა თქმა უნდა, ავტორობის გზაზე ახალგაზრდა ადრიაშვილი მას მეტოქეობას ვერ გაუწევდა.

რუსული ენისადმი დიდმა სიყვარულმა ლადო ადრიაშვილს დააწერინა აგრეთვე 1887 წელს რუსულ-ქართული („ნამცეცა“) „უბის ლექსიკონი“ („Карманный словарь“), რომელიც გამოსცა მისივე ინიციატივით შექმნილმა „ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ“ (1887-1894). ამ გამომცემლობამ გამოსცა ასევე ლადო ადრიაშვილის მიერ შეგროვილი ხალხური ზღაპრები (წ.1), რომელშიც 15 ზღაპარი შევიდა. ეს იყო პირველი თვალსაჩინო კრებული ქართული ეპოსისა, რომლის გამოსვლას ქართველი საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა. ეს ზღაპრებია: „ოსტატი და შეგირდი“, „ნაცარქექია“, „ღვთისავარ“, „გულამბარა და სულამბარა“, „ორნი ძმანი“, „კონკიჯღარუნა“, „ასფურცელა“ და სხვა. ამ გამოცემას ალ. ხახანაშვილმა უძღვნა რეცენზია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პირველი წიგნი ხალხური ზღაპრებისა საკმარისად აგრძობინებს კაცს, რა ძვირფასი განძი რჩება აქამდე უსარგებლოდ დახშული. იმ დროს, როდესაც მთელს რუსეთსა და ევროპაში საერო ნაწარმოებებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, ჩვენ მეტად ცოტა გამოვიკვლიეთ და შევკრიბეთ სახალხო პოეზიის მასალა. ყოველ კეთილ საქმეს თანამგრძობი უნდა ჰყავდეს. სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მოუპართოს ხელი და თავისი წვლილი არ დაიშუროს ამ საქმის გასაფართოვებლად და წარსამართავად („თვერია“ 1891 წ. №27). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლადო ადრიაშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრები უთარგმნია მარჯორი სკოტ უორდროპს 1894 წ. ეს იყო ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის პირველი ცდა. ამ თარგმანებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს ინგლისელ მკითხველთა შორის ლონდონის ჟურნალ „Saturday Review“-ში გამოქვეყნებისთანავე.

ქართული ფოლკლორის დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა ლადო ადრიაშვილს, არა მუსიკოსს, ქართული ხალხური პროფესიული გუნდის- „ქართული ხოროს“ ჩამოყალიბება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული მუსიკის ისტორიაში. ეს გუნდი დაარსდა 1885 წ. და მის ლობჯინაძეს ლადო ადრიაშვილმა მიიწვია გამოჩენილი ჩეხი მომღერალი და კომპოზიტორი იოზეფ ნავრატელი (შემდგომში საქართველოში ცნობილი როგორც იოსებ რატილი), რომელიც 1880 წ. საგასტროლოდ ჩამოვიდა საქართველოში რუსულ საოპერო დასთან ერთად, 4 წელი იყო წამყვანი სოლისტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში (ასრულებდა ტენორის პარტიებს) და შემდეგ საბუღალროდ დარჩა საქართველოში, მოხიბლული ჩვენი ქვეყნით, ქართული სითბოთი და სტუმართმოყვარეობით. აღსანიშნავია, რომ 72 წლიდან 32 წელი იოსებ რატილი საქართველოს კულტურას, მის

აღორძინებას დიდი სიყვარულით ემსახურა. ამიტომ დღესაც მისი შთამომავლები, მისი შვილთაშვილები სამუდამოდ უკავშირებენ თავიანთ ბედს საქართველოს და დღესაც თბილისში ცხოვრობენ. ჩვენი ინიციატივით საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ჩეხეთის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით 2001 წლის 14 ივნისს რუსთაველის თეატრში აღინიშნა ი. რატილის დაბადებიდან 160 წლისთავი (რაზეც არსებობს დოკუმენტური მასალა-შოსაწვევები, ვიდეოკასეტა). ვფიქრობთ, რომ საჭიროა დაფასდეს ყველა ის პიროვნება, ვინც საქართველოს კულტურის განვითარებაში დიდ ღვაწლს გასწევს, როგორც ერისკაცი ისე, უცხოელი! იოზეფ ნავრათილმა კეთილი კვალი დატოვა ქართული მუსიკის ისტორიაში. ამიტომ ჩვენ პატივს მივაგებთ მას სიტყვითაც და საქმითაც. (იხ. ჩვენი სტატია „ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი საქართველოში“ (დაბადებიდან 160 წლისთავის გამო) - რუსულ ენაზე-გაზეთ „Свободная Грузия“-ში. 21 აპრილი 2001 წ. და ე. „კავკასიის მაცნე“ -ში №3 2001 წ. მზად არის გამოსაცემად წინამდებარე ნაშრომის ავტორის მიერ თარგმნილი სოლომონ ლეკიშვილის წიგნი „რატილი საქართველოში“. იგი ითარგმნება აგრეთვე ჩეხურ ენაზე ა. კაკულიას მიერ. ეს თარგმანები ეძღვნება ამ წიგნის გამოსცემიდან 40 წლისთავს.

„ქართული ხოროს“ პირველი კონცერტი გაიმართა 1886 წლის 15 ნოემბერს (გიორგობისთვის) ქართულ თეატრში. მას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამაზე მეტყველებს ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ „ქართულმა ხორომ“ იგალობა ჩვენი საერო სიმღერები. „ეს იყო სულის მოძრაობა და გულის ძარღვის ცემა“ -გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა ი. ჭავჭავაძემ თავისი შთაბეჭდილებები ორი მოწინავე სტატიით გამოხატა ჟურნალ „ივერიაში“. იგი წერდა: „მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელნიც დღეს მოუზიდნია ქართული სიმღერების სიკეთეს და სიტკბობას, ბევრ ღირსებას პოულობენ და ბევრსაც მეცადინეობენ გადაიღონ ნოტებზე საყოველთაოდ საცნობლად. ამ მხრივ თვითონ ჩვენი ყმაწვილი კაცები შრომობდნენ და ამ შრომის ნაყოფიც დიდი სიამოვნებით მოვისმინეთ ჩვენი ყურით. 15 ნოემბერს... ხალხი ბლომად დაესწრო და სიამოვნებით კი არა, აღტაცებით მიეგება ამ ახალ სასიამოვნო ამბავს... ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყებთა, დიდი მადლობა გვმართებს ბატონ ლადო აღნიშვილისა, რომელმაც ეს მართლა სახელოვანი საქმე იკისრა“ („ივერია“, 1886 წ. № 250).

აღფრთოვანებული გამობმარებები უძღვნეს გუნდის გამოსვლას ი. გოგებავილიძე, ალ. ყაზბეგმა, ს. მგალობლიშვილმა, ი. მანსვეტაშვილმა და სხვა გამოჩენილმა ერისკაცებმა.

ეროვნული გუნდის დაარსებამ განაპირობა საყოველთაო ინტერესის

გაღვივება ხალხური მელოდიების შეკრება-ჩაწერისადმი საქართველოში.

ლადო აღნიაშვილის გუნდი ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდის კერად იქცა. ამ ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად ივანე და ზაქარია ფალიაშვილები, ია კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი და სხვები. ამ საქმის სათავეში იდგა ლადო აღნიაშვილი.

აქტიურად მონაწილეობდა ლადო აღნიაშვილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაში, რომელშიც გაწევრიანდა 1892 წლის 1 სექტემბერს (ცესა-ფონდი 481, საქმე 308) ამ საზოგადოებამ რამდენჯერმე განიხილა აღნიაშვილის სახელთან დაკავშირებული საკითხი (მისი თხზულებების გამოცემის, შესყიდვის შესახებ და სხვა). დიდი დახმარება გაუწია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ლადო აღნიაშვილს ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანი“-ს პოპულარიზაციაში.

1892-1893 წ. წ. ლადო აღნიაშვილი გამოსცემს „ახალი ანბანის“ 8 წიგნს- „ან“, „ბან“, „გან“, „დონ“, „ენ“, „ვინ“, „ზენ“, „თან“. ამ გამოცემებმა დიდი გამომხატურება ჰპოვეს ქართულ პრესაში, იყო როგორც აღფრთოვანებული, დადებითი, ასევე კრიტიკული შეფასებები. საინტერესოა ლადო აღნიაშვილის გამომხატურება კრიტიკაზე, რომელიც ავტორმა ცალკე ბროშურად გამოაქვეყნა სათაურით „პასუხად ქაჩალ, უღმობელ კრიტიკოსს, ბან „პაატას“ და ორი კითხვა „ივერიის“ რედაქციისადმი“, სადაც ლადო აღნიაშვილი, მისთვის ჩვეული პრინციპულობით და ობიექტური მიდგომით არგუმენტირებულად უპირისპირდება თავის ოპონენტს. ამ წერილის დაწვრილებითი ანალიზი გამოქვეყნდება მონოგრაფიაში.

ლადო აღნიაშვილს ახასიათებდა შემოქმედებითი შრომის გასაოცრად დიდი უნარი. იგი იყო პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც ფეხი შედგა ფერეიდანის მიწაზე იქმცხოვრები ქართველი მოსახლეობის გაცნობის მიზნით. მან გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით გამგზავრებულყო იმ შორეულ და საშიშროებით მოცულ გზაზე, რომ ერთხელ კიდევ მოეხადა ვალი თავისი ხალხის წინაშე. 1894 წელს იგი გაემგზავრა სპარსეთს, რათა გასცნობოდა და შეესწავლა სპარსეთის ცხოვრება და შაჰ-აბაზის დროს ისპაჰანში გადასახლებულ ქართველთა მდგომარეობა. უკვე 1896 წელს გამოდის ლადო აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (მგზავრის წერილები). ამ წიგნის ნაწყვეტები ქვეყნდებოდა აგრეთვე ჟურნალ „მოამბის“ 1896 წლის №2-8-ში.

წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები“ ოსტატურადაა აღწერილი ისპაჰანელი ქართველების ყოფა-ცხოვრება, განვითარების დონე. შეიძ-

ლება ითქვას, რომ ეს წიგნი წარმოადგენს ისპაჰანელი ქართველების ეთნოგრაფიული სინამდვილის ასახვის მეტად საინტერესო ძეგლს. აღსანიშნავია, რომ ლ. აღნიაშვილის გამგზავრებას სპარსეთში მოჰყვა შემდეგ ისპაჰანელი ქართველების, მოწინავე კაცების საპასუხო მოგზაურობა საქართველოში. იმ დროინდელი ქართული პრესა დიდი ხნის მანძილზე ათავსებდა წერილებსა და ცნობებს ამ საპასუხო მოგზაურობის შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია ლადო აღნიაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა: იმდროინდელ პრესაში მრავლად გვხვდება ლადო აღნიაშვილის პუბლიკაციები, აგრეთვე თბილი გამოხმაურებები, როგორც ლადო აღნიაშვილის მიმართ, ასევე მის წერილებზეც. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ერთ-ერთი ინიციატორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის“ (1883-1884 წ. წ.) გამოცემისა, სამსონ ინასარიძესა და ალექსი მირიანაშვილთან ერთად. საინტერესოა აგრეთვე, რომ ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება ლადო აღნიაშვილის „თხოვნა“ ჟურნალ „ცისკარის“ დაარსებაზე. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა) კი დაცულია წერილი, რომელშიც ნათქვამია: „Владимир Дмитриевич Агниашвили - учитель народного училища обратился в Главное управление по делам печати с ходатайством о разрешении ему издавать в этом городе с дозволения цензуры под его редакцией ежемесячный грузинский детский журнал “Циспери” (“Небесный”) Программа на стр. 2-3, всего на 6-ти листах. Разрешение получил 22 мая 1889 г. самушбарოდ, ეს ჟურნალი ვერ გამოვიდა სხვადასხვა შემაფერხებელი მიზეზების გამო.

ლადო აღნიაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა საყმაწვილო ყოველთვიურ ჟურნალ „ჭეცილში“, რომელიც გამოდიოდა 1890-1920 წ. წ. ამ ჟურნალში 1896-1899 წ. წ. ლადო აღნიაშვილმა გამოაქვეყნა სტატიების მთელი ციკლი საერთო სათაურით „საკვირველებანი ბუნებისა“ - მცენარეებზე, ცხოველებზე, ფრინველებზე. ეს სტატიები შეიცავენ დიდ შემეცნებით-აღმზრდელი მასალას, უღვივებენ მოზარდ თაობას სიყვარულს ბუნებისადმი და ყოველგვარი ცოცხალი არსებისადმი.

1896-1897 წ. წ. - სოფელმა საგარეჯომ (ახეთში) ლადო აღნიაშვილი აირჩია მამასახლისად. აქ მან განაგრძო თავისი აქტიური საგარეჯოს თეატრის მოყვარული წახალისებელი. აღსანიშნავია, რომ აღნიაშვილების ოჯახს ძალიან უყვარდა თეატრი. თეატრის შეგარვლთა კოლექტივის საქველმოქმედო სპექტაკლებში აქტიურად იყენებდნენ ჩამოყალიბებულ ლადოს დედა

ეკატერინე, პაპიდა ვარო, პაპის ძმები-საშა, ვასო, კოტე, რომლებიც თავად მართავდნენ სპექტაკლებს, ასრულებდნენ როლებს. აღნიშვილების ოჯახის აქტიური მონაწილეობით დაიდგა სპექტაკლები „პეპო“ და „თამარ ბატონიშვილი“ (რეჟისორი - ალექსანდრე ცხვეთაძე).

ლადო აღნიშვილი აქტიურად ეხმარებოდა თეატრალური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და აქვეყნებდა გამომხატურებებს სპექტაკლებზე იმხანად გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში. მან თვითონაც სცადა დაედგა სპექტაკლები ქართულ ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობით. ეს განზრახვა მან განახორციელა კიდევ და ქართული დრამატული დასის მშვევობით 1888 წ. გაიმართა წარმოდგენები: ორი ფეერია - „ყარამანიანი“ (3 მოქმედებად და 11 სურათად) და „ტარიელი“ (3 მოქმედებად და 10 სურათად). ამის შესახებ იუწყებოდა ჟურნალი „თეატრი“ (1888 წ., №15, 16 გვ. 3). ამ სპექტაკლების სცენარები დაცულია „სცსსა“-ში (ფონდი 480, საქმე 924, 929).

1897 წ. ლადო აღნიშვილის თაოსნობით დაარსდა ქართველთა სააღმშენებლო-მიცემო ამხანაგობა - „შუამავალი“ (კოოპერატივი), რომლის მიზანიც იყო გაეჩინა ბაზარი მწარმოებელთათვის და შეემსუბუქებინა ხარჯი მომხმარებელთათვის (მყიდველთათვის), ე. ი. შეექმნა ნამდვილი შუამავალი მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის. ამ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეც იყო თავადვე, დირექტორები-ივანე კახეთელიძე და იასე მახარობლიძე. მაგრამ კოოპერატივმა დიდხანს ვერ იარსება ვაჭრების ინტრიგების გამო, თუმცა ლადო აღნიშვილი შეუპოვრად ებრძოდა მათ.

1929 წ. იოსებ იმედაშვილი თავის შრომაში „ლადო აღნიშვილი“ (გარდაცვალების 25 წლისთავზე) ასე ახასიათებდა ლადო აღნიშვილს „ეს იყო უკეთილშობილესი საზოგადო მოღვაწე მაღალი იდეალებით გატაცებული, გარეგნობით ახოვანი, საამო შესახედავი, სულით მგზნებარე და მუდამ ფაქიზი“. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიულ არქივში, ლიტერატურული არქივის განყოფილებაში დაცულია იოსებ იმედაშვილის განცხადება, დათარიღებული 1929 წლის 11 აპრილით. იგი მიმართავს სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმს თხოვნით, ლადო აღნიშვილის გარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამო, ხსოვნის საღამოს ჩატარების შესახებ. ამ განცხადების პასუხად 1929 წლის 15 აპრილს შედგა ამ ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა (ოქმი № 27), სადაც გადაწყდა ლადო აღნიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოს ჩატარების საკითხი.

1950 წლის 27 მარტს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ მიმართა თბილისის პარტიის რაიკომის ერთ-ერთ მდივანს

განცხადებით ლადო აღნიაშვილის საფლავის მოვლა-პატრონობის შესახებ (სცსსა, ფონდი 203, საქმე 132). დღეს ამ დიდი ერის კაცის საფლავი გადმოტანილია კუკიის სასაფლაოს ეკლესიის წინ სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, რომლებსაც მოწიწებით პატივს მიაგებენ მაღლიერი თაობები.

აი როგორ იგონებს ლადო აღნიაშვილს იაკობ მანსვეტაშვილი: „ლადო აღნიაშვილი უცნაური, თავისებური კაცი იყო, „ორიგინალი“, რუსები რომ იტყვიან. ერთ დღეს გადაწყვიტა, ევროპული ტანისამოსი აღარ უნდა ვატარო და შეიმოსა ქართულ ძველებურ ტანისამოსში. ჩაიცვა ქართული მოკლე ყურთმაჩებიანი გულამოკრილი ქულაჯა, გაიკეთა გულზე ლამაზი ატლასის დომოლული, ფეხთ ჩაიცვა ჭყინტებიანი, მალაყელიანი ქართული წულეები, თავზე მოიგდო ბუზრის ქუდი, გვერდზე კობტად ჩატეხილი და დაიარებოდა ასე ქუჩაშიც და სამსახურშიც“, იტყოდა ღიმილით: „ეს ნამდვილი ქართული ჩაცმულობაა“-ო. ესეც უნდა ითქვას: აღნიაშვილი მოხდენილი ტანისა და სახის კაცი იყო და ეს ტანისამოსი უკეთ უხდებოდა, ვიდრე ევროპული. (ი. მანსვეტაშვილი „მოგონებები“, თბილისი, 1985 წ., გვ. 93).

ლადო აღნიაშვილის ღვაწლი არაერთხელ აღნიშნულა იმდროინდელ და თანამედროვე პრესაში. მაგრამ სულ 40 წელი დასჭირდა მისი სახელის მიეიწყებას. ახლა კი დროა ისევ გამოვაბრწყინოთ ჩვენი ეს სასიქადულო, კემმარიტი მამულიშვილი და პატივი მივაგოთ მას, ღირსეულად დავუფასოთ შრომა და ღვაწლი, ვისაც როგორ შეუძლია.

Владимир (Лад) Агнишвили

КРАТКИЙ ОБЗОР ЖИЗНИ И ОБЩЕСТВЕННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

В 2000 г. исполнилось 140 лет со дня рождения Владимира (Лад) Агнишвили. К сожалению, из-за неимения средств не удалось отметить эту дату в его родном селе Шильда (Кварельский район).

20 лет бескорыстно, самоотверженно служил своему народу этот великий сын Отечества и оставил поколениям богатое наследие, которое пока не знакомо широкой общественности.

Деятельность Владимира (Лад) Агнишвили началась с 80-

х годов XIX века; Ему посчастливилось жить и работать рядом с такими выдающимися общественными деятелями как Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Яков Гогешашидзе и другие, которые личным примером, высокими нравственными идеалами вдохновляли Агнияшвили на борьбу в защиту интересов Родины и национальной самобытности народа.

Всю свою сознательную жизнь, свои знания, опыт, талант, общественную деятельность Агнияшвили посвятил благороднейшему делу народного просвещения, развитию грузинской культуры.

СВИДЕТЕЛЬСТВО О РОЖДЕНИИ

„Владимир Дмитриевич Агнияшвили родился 23 января 1860 г, крещён 29 января. Крещение совершил священник церкви св. Нино и св. богородицы села Шильда Варфоломей Иорданов в присутствии дьяконов церкви святой богородицы этого же села Иосифа и Алексея Агниева.“

Родители - священник церкви св. богородицы села Шильда, благочин Дмитрий Иокиевич Агнев и православная жена его - Екатерина Захаровна, обое православного вероисповедания.

Крёстный отец - офицер III роты сухопутного полка, дворянин Леван Эстатович Джорджадзе“. (Государственный центральный исторический архив Грузии, фонд 489, опись №6, дело №1405.)

Как видно из свидетельства о рождении, Владимир (Ладо) Агнияшвили родился в семье священника, который был очень уважаем в Телавском уезде. В архивных материалах хранится доклад священника Дмитрия - благочина о состоянии дел благочинных в Телавском уезде и положительная характеристика этого священника. (фонд 488, дело № 26440, на 9 страницах).

В роду Агнияшвили было много священников. В том числе Симон Агнияшвили, который 14 мая 1825г. обратился с докладом к экзарху Грузии Ионе: „Об учреждении при Елисаветопольской церкви порядка, существующего в грузинских церквях“. (ф. 488 на 6 стр.). 3 декабря 1825 в село Бокацини Душетского уезда был назначен священником Георгий Агнияшвили, который до этого

служил в Тбилиси (ф. 488 дело №1221, стр. 1-16).

Род Агниашвили может гордиться славными предками, которые честно служили на богословском поприще. Кто не знает сегодня церкви Самеба, что находится ниже национальной парламентской библиотеки им. Ильи Чавчавадзе?! „Этот памятник грузинской архитектуры впервые был построен в виде маленькой молельни в 1790 г. тбилисцем Петре Агниашвили (Петре - караул). В первой половине XIX века его сын - Шио Агниашвили к этой молельне добавил ворота с колоннами и колокольню. А в 60-х г.г. XIX в. по инициативе дьякона Ардазиани была построена церковь с куполом, которую освятили в декабре 1868 г. Церковь охраняется государством“ (надпись на мемориальной доске церкви).

Отец Владимира (Ладо) Агниашвили - священник Дмитрий готовил сына к служению Богу, чтобы продолжать семейную традицию.

В 1868г. по инициативе священника Дмитрия Агниашвили в селе Шильда Телавского уезда открылась первая школа (сельское училище), одним из первых учеников которой стал Владимир Агниашвили.

После окончания начальной школы (1872) Агниашвили продолжил образование в Телавском духовном училище, по окончании которого поступил в Горийскую учительскую семинарию, которую успешно завершил 14 июня 1881г., о чём свидетельствует его аттестат (хранящийся в Государственном музее грузинской литературы имени Г. Леонидзе).

Своё призвание Владимир (Ладо) Агниашвили видел в педагогической и общественной деятельности. Поэтому он и сделал такой выбор, не став священником, хотя по природе он был истинным христианином. Педагог должен быть наставником. Ладо Агниашвили был по призванию Учителем.

В 1881 г. в Тбилиси открылось грузинское дворянское училище, инспектором которого был назначен известный грузинский писатель и педагог Нико Ломоури. Он пригласил Владимира (Ладо) Агниашвили первым учителем грузинского и русского языков и создал для него, как и для других учителей, хорошие условия для творческой работы. Здесь Агниашвили проработал два года.

В 1883-1893 годах Ладо Агниашвили работал в приходской школе грузинских католиков. Эти годы были наиболее плодотворными в творчестве Агниашвили. Он с самого начала стремился к более широкому общественному поприщу. Ему стало ясно, что недостаточно только в одной школе навести порядок в деле обучения. Необходимо тесно увязать обучение с воспитанием народа и воспитывать в учащихся любовь к духовной культуре своей нации, пробудить интерес к изучению богатой сокровищницы фольклора Грузии, отточить патриотические чувства и утвердить здоровую общественную мораль.

Таким образом, перед Ладо Агниашвили встали те же вопросы, которые волновали руководителей народно-освободительного движения Грузии. Это было то время, когда дел было очень много, а энтузиастов этих дел очень мало.

В первые же годы своей педагогической деятельности Агниашвили неустанно искал путь, с помощью которого можно было бы облегчить грузинским детям изучение русского языка. Сознание этого навело его на мысль о необходимости создания учебника русского языка.

Двадцатитрёхлетний юноша создал и в 1883 г. издал „Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ“, в котором объясняется структура учебника и даны методические указания. Грузинская пресса положительно оценила этот учебник. Однако он больше не издавался так как не смог широко распространиться из-за нехватки средств.

А через четыре года вышел учебник „Русское слово“ (Тф., 1887) Я. Гогешашвили, который получил высокую оценку, став общепризнанным и стабильным учебником не только для грузинских начальных школ, но и для инородческих школ многонациональной России.

Яков Гогешашвили в то время был уже довольно известным педагогом, писателем и молодой Агниашвили не смог бы соперничать с ним.

Любовь к русскому языку породила также желание создания в 1887 году русско-грузинского „Карманного словаря“, который был издан созданным по его же инициативе „Товариществом издателей грузинских книг“ (1887-1894). Это издательство

выпустило также его сборник грузинских народных сказок (ч.1) в который вошло 15 сказок. Это был наглядный образец грузинского эпоса, опубликование которого грузинская общественность восприняла с одобрением. Эти сказки: „Мастер и подмастерье“, „Золодув“, „Хвтисавар“, „Гуламбара и Суламбара“, „Два брата“, „Золушка-колокольчик“, „Столистник“ и др. Этому изданию была посвящена рецензия Ал. Хаханашвили, где, между прочим, было сказано: „Первая книга народных сказок в достаточной мере даёт почувствовать человеку, какое дорогое сокровище до сих пор оставалось без пользы, неизвестным. В то время, как во всей России и Европе особое внимание уделяется народному творчеству, у нас ещё очень мало изучено и собрано материалов народной поэзии. Каждое доброе дело должно иметь сочувствие и поддержку. Мы пожелали бы от всей души, от всего сердца, чтобы наша общественность поддержала и не пожалела бы усилий для своего вклада, чтобы расширить и впредь продолжить это дело“. (Иверия, 1891г. №27)

Интересно то, что собранные Владимиром Агниашвили сказки перевела на английский язык Марджори Скот Уордроп в 1894 г. Это была первая попытка перевода с грузинского языка на английский. Этот перевод большое одобрение заслужил в прессе и среди читателей Лондонского журнала „Saturday Revium“.

Большая любовь к грузинскому фольклору создала предпосылки для создания грузинского профессионального хора народных песен, который приобрёл особую значимость в истории грузинской музыки.

Этот хор был создан в 1885 г. и так как Агниашвили не был профессиональным музыкантом, он пригласил хормейстером выдающегося чешского певца и композитора Йозефа Навратила, в Грузии известного как Иосиф Ратиль, который в 1880 г. приехал в Грузию вместе с русской оперной труппой на гастроли, четыре года был ведущим солистом Тбилисского театра оперы и балета (пел теноровые партии), а затем навсегда остался в Грузии, очарованный нашей страной, грузинским теплом, гостеприимством, традициями и, что самое главное, грузинским многоголосным песнопением. Надо отметить, что из 72 лет жизни 32 года Иосиф Ратиль посвятил возрождению грузинской культуры.

Поэтому его внуки и правнуки навсегда связали свою судьбу с Грузией. Они и сегодня живут в Тбилиси. По нашей инициативе Министерством культуры Грузии совместно с посольством Чехии в Грузии 14 июня 2001г. в театре имени Руставели был отмечен юбилей 160 - ление со дня рождения И. Ратилья (имеется документальный материал - пригласительные, видеозапись).

По нашему мнению, необходимо по достоинству оценить вклад в развитие грузинской культуры каждой личности, как сына Грузии, так и иностранцев! Иосиф Ратиль оставил добрый след в истории грузинской музыки. Поэтому мы склоняем головы перед ним и словом, и делом (см. статью „Чешский музыкант Иосиф Ратиль в Грузии“ (к 160-летию со дня рождения) - ж. „Кавказский вестник“ №3 2001 г., газ. „Свободная Грузия“ 21 апреля 2001 г.). Уже готов перевод на русский язык книги С. Лекишвили „Ратиль в Грузии“, сделанный автором данного труда. Эта книга переводится по нашей просьбе и на чешский язык Алказаром Какулия. Переводы эти приурочены к 40-летию выхода в свет книги С. Лекишвили „Ратиль в Грузии“.

Первый концерт грузинского „хоро“ состоялся 15 ноября 1886 г. в грузинском театре. Он имел большой успех. Об этом свидетельствует опубликованная на страницах журнала „Иверия“ информация, в которой было отмечено, что „...грузинский хор пел наши народные песни. Это было выражением движения души и сердечных порывов“. Известный грузинский поэт Илья Чавчавадзе свои впечатления выразил двумя передовыми статьями в журнале „Иверия“. Он писал: „Истинные знатоки и ценители музыки, которых привлекают благозвучность и сладость грузинских песен, много достоинств находят в них и много занимаются, чтобы перенести на ноты для привлечения всеобщего внимания. В этом отношении не жалеют усилий молодые люди и мы с большим удовольствием услаждали свой слух плодами этого труда. 15 ноября... много было народа и не только с удовольствием, но и с восторгом приветствовали все это новое, приятное событие... Честь и хвала инициаторам и организаторам этого дела. С благодарностью склоняем головы перед господином Ладом Агнишвили, который взял на себя ответственность за этот славный начин“ („Иверия“, 1886 г. № 250).

Восторженные отклики посвятили выступлению хора Я.Гогешаши. А. Казбеги. С. Мгалоблишвили, И. Мансвешаши и другие выдающиеся сыны Отечества.

Создание национального хора обусловило всеобщий интерес к изучению и собиранию народных мелодий в Грузии.

Хор Агниашвили стал очагом воспитания национальных музыкальных кадров. Здесь сформировались как профессионалы - музыканты Иване и Захарий Палиашвили. Ия Каргаешели. Ване Сараджишвили. Во главе этого начинания стоял Ладое Агниашвили.

Активно участвовал Ладое Агниашвили и в деятельности „Общества по распространению грамотности в Грузии“, в котором он стал действительным членом с 1 сентября 1892 г. (Исторический архив Грузии, фонд №81, дело № 308). Это общество несколько раз обсуждало вопросы, связанные с именем Агниашвили (об издании-приобретении его сочинений и т.д.) Большую помощь оказало общество в деле популяризации „Новой азбуки“ для семейного чтения.

В 1892-1893 г. Ладое Агниашвили выпускает „Новую азбуку“ - 8 книжек (каждая из которых начинается на первую букву грузинской азбуки - „Ан“, „Бан“, „Ган“, „Дон“, „Эн“, „Вин“, „Зен“, „Тан“). Эти издания нашли широкий отклик в грузинской прессе. как восторженный, положительный, так и критический. Интересен отклик Ладое Агниашвили на критику, который автор издал отдельной брошюрой под заглавием: „В ответ лысому, неумолимому критику, г-ну „Паате“ и два вопроса к редакции „Иверия“, где Ладое Агниашвили, с характерной для него принципиальностью и объективным подходом, аргументированно противостоит оппоненту. Подробный анализ этого письма дан в ещё не изданной нашей монографии. посвященной Владимиру (Ладое) Агниашвили.

Для Ладое Агниашвили была характерна удивительно большая потенция творческого труда. Он был первым из грузин-путешественников. который вступил на ферейденскую землю с целью изучения живущего там грузинского населения. Он решил на собственные средства отправиться в тот далёкий и полный опасностей путь, чтобы ещё раз исполнить свой долг перед народом. В 1894 году он отправился в Иран. чтобы ознакомиться с

положением изгнанных в Иран Шах-Аббазом грузин. Уже в 1896 г. выходит книга Агниашвили „Иран и тамошние грузины“ (Путевые заметки). Отрывки этой книги печатались также в журнале „Моамбе“ („Вестник“) №№ 2-8 за 1896 г.

В книге „Иран и тамошние грузины“ мастерски описаны жизнь и быт, уровень развития испаханских грузин. Можно сказать, что эта книга представляет собой довольно интересный памятник показа этнографической действительности этих грузин.

Интересен тот факт, что вслед за путешествием Агниашвили в Иран последовал ответный визит испаханских грузин, лучших представителей от них в Грузию. Грузинская пресса того времени долгое время печатала письма и информации об этом ответном визите.

Следует отметить журналистскую деятельность Ладоса Агниашвили. В тогдашней прессе было много публикаций Агниашвили, а также тёплых откликов как о нём, так и по поводу его публикаций.

Надо отметить, что вместе с Самсоном Инасаридзе и Алексеем Мирианашвили он был одним из инициаторов издания и членом редколлегии журнала „Нобати“ („Презент“) - который издавался в 1883-1884 г.г. Интересно также то, что в Государственном музее грузинской литературы им. Г. Леонидзе (русский отдел) хранится просьба Ладоса Агниашвили об издании журнала „Цискари“. А в Центральном Государственном Историческом Музее Грузии хранится письмо, в котором, в частности, сказано: „Владимир Дмитриевич Агниашвили - учитель народного училища обратился в главное управление по делам печати с ходатайством о разрешении ему издавать в этом городе, с дозволения цензуры, под его редакцией ежемесячный грузинский детский журнал „Циспери“ („Небесный“). Программа на стр. 2-3, всего на 6-ти листах. Разрешение получил 22 мая 1889 г.“. К сожалению, этот журнал не вышел по различным обстоятельствам, мешающим этому делу.

Ладоса Агниашвили активно сотрудничал с ежемесячным детским журналом „Джеджили“ („Колоски“), который выходил в 1890-1920 годах. В этом журнале в 1896-1899 гг. Ладоса Агниашвили опубликовал целый цикл статей под общим названием „Чудеса природы“- о растениях, животных, птицах. Эти статьи содержали

большой познавательный и воспитательный материал, пробуждали в подрастающем поколении любовь к природе и ко всему живому.

В 1896-97 гг. село Сагареджо (в Кахетии) избрало Ладо Агнишвили своим старостой. Здесь он развил свою активность для поощрения Сагареджойского любительского театра. Следует отметить, что семья Агнишвили очень любила театр. В любительских спектаклях театрального коллектива активно участвовали мать Ладо - Екатерина, сестра деда - Варо, братья деда - Саша, Васо, Коте, которые сами организовывали спектакли и сами же были исполнителями ролей. При активном участии семьи Агнишвили были поставлены спектакли „Пепо“ и „Тамар Батонишвили“ (режиссер - Александр Цхветадзе).

Ладо Агнишвили активно отзывался на самые важные события в театральной жизни и публиковал свои отзывы на спектакли в издающихся в то время журналах и газетах. Он и сам сделал попытку поставить спектакли. В 1888 году Агнишвили задумал две феерии: „Караманиани“ (в 3-х действиях, 11 картинках) и „Тариэли“ (в 3-х действиях, 10 картинках), основываясь на грузинских народных преданиях. Об этом сообщал журнал „Театр“ (1888 № 15.16; стр.-3 (на грузинском языке)). Этот замысел он осуществил и поставил две феерии на сцене грузинского драматического театра. Сценарии этих спектаклей хранятся в центральном государственном историческом архиве (фонд 480, опись 1, дело 924, 929).

В 1897 г. по инициативе Ладо Агнишвили был основан кооператив „Шуамавали“ („Посредник“), целью которого было создание рынка для производителей и облегчение расходов потребителей, т.е. создание посредника между производителями и потребителями. Председателем правления этого кооператива был Ладо Агнишвили, директорами - Иване Кахетелидзе и Иасе Махароблидзе. Но кооператив не смог долго просуществовать из-за постоянных интриг купцов, хотя Агнишвили смело боролся с ними.

В 1829 году Иосиф Имедашвили в своём труде „Ладо Агнишвили“, написанном к 25-летию со дня его смерти, так характеризует Ладо Агнишвили „Это был благороднейший общественный деятель, увлечённый высокими идеалами, внешне

высокий, приятной наружности, пламенный душой и всегда опрятный.“

Интересный документ хранится в литературном отделе Центрального государственного исторического архива Грузии. Это заявление Иосифа Имедашвили, датированное 11 апреля 1929 года. Он обращается в президиум федерации советских писателей Грузии с просьбой о проведении вечера, посвященного памяти Владимира (Лад) Агниашвили (в связи с 25-летием со дня его смерти). В ответ на это заявление президиум вышеуказанной федерации провёл заседание (протокол № 27 от 15 апреля 1929 г.), на котором было решено провести этот вечер.

27 марта 1950 г. председатель Театрального общества Грузии обратился к секретарю одного из райкомов партии с заявлением о приведении в порядок могилы Владимира (Лад) Агниашвили и учреждении ухода за ней (фонд 203, дело 132). Сегодня могила этого выдающегося сына Отечества находится перед церковью Кукийского кладбища рядом с могильными плитами других выдающихся деятелей Грузии, к которым с благоговением склоняют головы и впредь будут вспоминать благодарные потомки.

